ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01192682202**
თარიღი: **25/09/2019**
პინი: **0487**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს ნიუ ლაიფ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406217829
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვ., კორ. 10, ბ. 191

თქვენი N10/01191992910-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, (სექტორი-ჩუღურეთი), ე.ნინოშვილის ქ. N64-ში (საკ. კოდი N01.16.01.010.014) 2018 წლის 12 თებერვლის N3818022 (AR1564372) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

„1-8“ ღერძებში (A-B ბლოკი):

შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და ბაქნების გაბარიტი. გაზრდილია კოლონების კვეთი. ნაწილობრივ გაზრდილია კოლონების რაოდენობა და მონაცვლებული აქვს ადგილი. მონოლითური კედლების მდერეობა და გაბარიტი არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია ბინებს შორის გამყოფი კაპიტალური კედლების კონფიგურაცია და რაოდენობა. გაზრდილია ბინების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს და დერეფნების ფართები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფილის ნიშნულები და შეცვლილია სართულის სიმაღლე სარდაფის სართულზე. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების ფორმა და გაბარიტი. საკომუნიკაციო შახტები არაა მოწყობილი. ლითონის გადახურვის ფერმა არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი. „2-3“ მონაკვეთში კიბის უჯრედში დამატებულია ღიობები.

-3.00 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში დამატებულია კაპიტალური კედლები და გაზრდილია ფართი.

±0.00 ნიშნულზე „ზ-თ“ მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია აივნის გაბარიტი. „6-6“ ღერძზე შეცვლილია „5-6“ მონაკვეთში ამოშენებულია კარი.

+10.90 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში დამატებულია აივანი.

+14.20 ნიშნულზე „7-7“ ღერძზე დამატებულია კოლონები. „6-7“ მონაკვეთში გაუქმებულია აივანი. „ე-ზ“ მონაკვეთში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამატებულია ლითონის ვერტიკალური დგარი.

+17.50 ნიშნულზე „5-6“ მონაკვეთში დამატებულია კიბე და ლიფტის შახტა. მოწყობილია კოლონები, გადახურვის ფილა და გაზრდილია საცხოვრებელი ფართი. „დ-ზ“ მონაკვეთში კედელს და ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი, დამატებულია აივანი. „თ-ი“ მონაკვეთში დამატებულია ლიფტის სამანქანო.

„8-17“ ღერძებში (C-D ბლოკი):

ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების მდებარეობა და გაბარიტი. შეცვლილია ბინებს შორის გამყოფი კაპიტალური კედლების კონფიგურაცია და რაოდენობა. გაზრდილია ბინების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს და დერეფნების ფართები. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. დამატებით მოწყობილია ლითონის ვერტიკალური დგარები. ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური სვეტების კვეთი, რაოდენობა, მდებარეობა და მასალა. ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის ფორმა და კონსტრუქცია. ფილებზე არ ფიქსირდება სავენტილაციო შახტებითვის განკუთვნილია ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და ბაქნების გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია საბაფხულო ფართების გაბარიტი. აივნებზე ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური მოაჯირის გაბარიტი. –3.00 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია სიმაღლე. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფილის დონები. „8-8“ ღერძის მიმდებარედ ფიქსირდება სეისმური ნაკერი. „დ-ზ“ მონაკვეთში „9-9“ ღერძის მიმდებარედ აივანებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური გამყოფი კედელი. +14.30 ნიშნულზე „8-9“ მონაკვეთში შეცვლილია ტერასის ფორმა.

-3.00 ნიშნულზე „13-14“ მონაკვეთში გაზრდილია სამანქანე პანდუსი დახრის პროცენტი პერიმეტრზე მონოლითურ კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.

±0.00 ნიშნულზე „12-13“ და „გ-დ“ ღერძების კვეთაზე გაუქმებულია შშმ პირთათვის განკუთვნილი სან-კვანძი. „ზ-თ“ მონაკვეთში „17“ და „15“ ღერძთან მდებარე კიბეებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.

+4.30 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში „8-8“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კაპიტალური კედლის ფორმა. „17-17“ და „ბ-ბ“ ღერძის გადაკვეთაზე გაუქმებულია ღიობის მოწყობა.

+10.90 ნიშნულზე „9-10“ მონაკვეთში „ა-ბ“ მონაკვეთში მდებარე კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი „ა-ა“ ღერძის მიმართულებით.

+14.20 ნიშნულზე „14-16“ მონაკვეთში შეცვლილია დერეფნის მდებარეობა და ფორმა. „ბ-გ“ მონაკვეთში „9-9“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ღიობი.

„1-17“ ფასადზე ±0.00 ნიშნულზე კედლებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი და გაზრდილია შიდა ფართი.

„17-1“ფასადზე „15-14“ მონაკვეთში ნაწილობრივ გაუქმებულია ღიობები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

ვლადიმერ ყუშიტაშვილი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) (მოვალეობის შემსრულებელი)

MSDA-093 * 405026877 *

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **17-01191982959**
თარიღი: **17/07/2019**
პინი: **8604**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს ნიუ ლაიფ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406217829
მისამართი: ქ. თბილისი, იუნკერთა ქ. #1, კომერციული ფართი #1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-6^2 მუხლის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-98 დადგენილების შესაბამისად;

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-98 დადგენილებით განსაზღვრული წესით სამსახურისათვის განცხადებით მომართვის შემთხვევაში ინსპექცია აცხადებს თანხმობას განახორციელოს სახელმწიფო-ტენიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია შემდეგ სამშენებლო ობიექტზე:

შენობა–ნაგებობის მისამართი: ქ. თბილისი, (სექტორი – ჩუღურეთი), ე. ნინოშვილის ქ. N64ა (საკადასტრო კოდი №01.16.01.010.014)

შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შენობა–ნაგებობის კლასი: IV კლასი

მომსახურების ფორმა: 2 შემოწმება

მოსაკრებლის ოდენობა: 9000 ლარი

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773194

გადახდის დანიშნულება: სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსმსახურების

აკრებელი.

მომსახურების ვადების გამოთვლის წესი

1. ინსპექციის მიერ მომსახურების განხორციელებისთვის, განსაზღვრულ ვადებში არ იანგარიშება კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ვადის ათვლა იწყება განცხადების ინსპექციაში რეგისტრაციის და თანხის სრულად გადახდის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღეს. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

3. განხორციელებული მომსახურების დროს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' საფუძველზე გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით.

4. ინსპექციის მიერ მომსახურების განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია წარმოადგინოს გადახდილი მოსაკრებლის დამადასტურებელი დოკუმენტი. რის შემდეგაც მომსახურება დანიშნულად ითვლება.

გადახდილი მოსაკრებლის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ მოსაკრებელი გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, მოსაკრებლის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხას და დადგენილ განაკვეთს შორის;

2. გადახდილი მოსაკრებელი მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენამდე მოითხოვს თანხის უკან დაბრუნებას;

ბ) ინსპექციამ უარი განაცხადა მომსახურების გაწევაზე

3. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა ნაკლები ოდენობა, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება სხვა ფორმით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

4. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც წესი გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა მეტი ოდენობა, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი/დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია სხვა ოდენობით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

5. განმცხადებელს მომსახურებისთვის გადახდილი მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდება თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსახურების პროცესი შეწყდება ვადაზე ადრე:

ა) დამკვეთის მოთხოვნით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთმა რაიმე ფორმით თავად შეუშალა ხელი სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესს ან/და მის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს წარმომადგენელს;

გ) რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის პროცესი ერთის გარდა სხვა შემოწმებას არ ითვალისწინებს ან/და ადგილი აქვს მომსახურებით გათვალისწინებულ ბოლო შემოწმებაზე გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობას.

6. გადახდილი მოსაკრებლის ნაწილობრივ ან მთლიანად უკან დაბრუნება ან მისი გამოყენება

ე ან სხვა მომსახურების ფორმისთვის ხორციელდება გადამხდელის განცხადების ჟუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან არა გვიანეს 3 თვის განმავლობაში. მოსაკრებლის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, განცხადებას თან უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და დასაბრუნებელი თანხის მისაღებად გამოყოფილი ანგარიშის ნომერი. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის უკან დაბრუნების ან მისი სხვაგვარად გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

7. გადახდილი მოსაკრებლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ტარიფის გადახდა ეკისრება მოსაკრებლის გადამხდელს.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის
მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

დოკუმენტის გაცემის ბარათი

დოკუმენტი

წერილის ნომერი: 17-01192682202
წერილის თარიღი: 25.09.2019 14:57

საფუძველი

განცხადების ნომერი: 10/01191992910-17
განცხადების თარიღი: 18.07.2019 17:36

განცხადება/ნომენკლატურა

მუნიციპალური ინსპექცია
შენობა - ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისი
ქვითრის წარმოდგენა
მუნიციპალური ინსპექცია
შენობა - ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისი
ვიზიტის თარიღის დანიშვნა

წერილის გამტანი მინდობილი პირი

ანა გურიელი
პირადი ნომერი: 01011074858

ხელმოწერა:

რეგისტრატორი

ლამა ნეფარიძე
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო - მომსახურების ცენტრების მართვის სამსახური - მომსახურების ოფიცერი
გაცემის თარიღი: 02.10.2019 17:46